სახალხო გაზეთი

№ 931 შაბათი, 29 ივნისი 1913 წ. № 931

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

დღესასწაულისა გამო „სახალხო გაზეთის“ შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 2 ივლისს.

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ტფილისში გარდაიცვალა

ექიმი სვიმონ ილარიონის ძე გძელიშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **ქვრივი სოფიო პავლეს ასული, ძმა მღვდელი გრიგოლ ილარიონის ძე გძელიშვილი, და ეკატერინე ილარიონის ასული დადიანიძე და რძალი ქეთევან თომას ასული გძელიშვილისა შვილებით.** პანაშვიდი იქნება ქვაშვეთის ეკლესიაში, დღეს, 29 ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზე. დაკრძალვა მოხდება კვირას, 30 ივნისს, ავლაბრის წმ. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. გამოსვენება ცხედრისა მოხდება ქვაშვეთის ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქნება წირვა. 1399

კნეინა დარია რამაზის ასული ჭავჭავაძისა, თავადი **სულხან გიორგის ძე ჭავჭავაძე** კაპიტანი **ვლადიმერ სტეფანეს ძე შიმერა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 28 ივნისს, დილის $10^1/_2$ საათზე, გარდაიცვალა პირველის საყვარელი მეუღლე, მეორის ბიძა და მესამის ნათლია

ღენერალ-მაიორი თავადი
ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძე

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 1.

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 396

გარდაიცვალა

თავადი ივანე სულხანის ძე
ჭავჭავაძე,

ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საკრებულო აუწყებს-რა ამას, სთხოვს ბ-ნნთ თავადთა დ აზნაურთ, დაესწრნ ნ, განსვენებულის პანაშვიდზე 29 ივნისს, დილ. 10 ს., სათავ.-აზნ. სახლში (ქარვასლა).

27 ივნისს, ნაშუადღევს, მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო ქართულ გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფე

შალვა ივანეს ძე ხანდამაშვილი,

რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გულდამწუხარი დედა მისი **საშა (ალექსანდრა)** და **მამა ივანე (მიმინო) ხანდამაშვილები.** პანაშვიდი შაბათს, 29 ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზე, მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოში, გასვენება კვირას, 30 ივნისს ავლაბრის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში დილის 8 საათზე. დასაფლავება იმავე დღეს კუკიის პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

ვიკენტი ათანასეს ძე ქუთათელაძე და მეუღლე მისი ეკატერინე დავითის ასული, შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარი შვილის

ლ ა თ ი კ ო ს

უდროოდ გარდაცვალებას, დაბა ხონში, დაკრძალვა მოხდება 30 ივნისს, გამოსვენება საკუთარ სახლიდან, დილის 9 საათზე. 395

სამშაბათს, 2 ივლისს გარდაცვალების წლის თავზე დანიშნულია პანაშვიდი განსვენებულის

დავით (დათა) ბურჭულაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდამწვარნი **მშობლები, მეუღლე და ძმა.** პანაშვიდი დაიწყება დილის 11 საათზე, განსვენებულის საფლავზე, ქ. თელავში.

1374.

კვირას, 30 ივნისს, თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში (ბელინსკის ქ. № 2), დანიშნულია

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ წევრთა

წლიური კრება

კრების საგნებია:

1. ე. თაყაიშვილის მოხსენება: „ბორჩალოს მაზრის ქართული ნაშთები და მათი წარწერანი“.
2. საზოგადოების მოქმედებისა და შემოსავალ-გასავლის წლიური ანგარიშები 1911-ისა და 1912 წლისა; აგრეთვე სარევიზიო კომისიის აქტი.
3. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1913 წლისათვის.
4. „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ მუზეუმ-ბიბლიოთეკათა შეერთების საკითხი.
5. ვაკის მამულის (1 დესეტინა) გაყიდვის საკითხი.
6. საბჭოს წევრების, მათი კანდიდატების, სარევიზიო კომისიის წევრთა და საზოგადოების ახალ (საპატიო და ნამდვილ) წევრთა არჩევანი.

კრება დაიწყება დილის 10 საათზე. დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ. 389.

ახალი კლუბი

სამშაბათს 2 ივლისს

კლუბის დაარსების წლის თავის შესრულების გამო

მესამე სიმფონიური კრება

შესრულებული იქნება ჩაიკოვსკის მე-5 სიმფონია და სხვათა ნაწარმოებნი. მონაწილეობას მიიღებენ სოლისტები **ბ. ი. კრეინინი, ე. ნ. კოპოლნიცკი** და **ი. ა. პოლომარენკო.** კონცერტის შემდეგ საერთო ვახშამი ხელის მოწერით.

კლუბში შესვლის ფასი სტუმრებისათვის: კაცები 50 კ. ქალები და სტუდენტები 25 კ. ვახშამზე ხელის მოწერა შეიძლება შესავალში მდგომ მსახურთან. 1358.

ახალი კლუბი

შაბათს, 29 ივნისს, 1913 წ.

საოჯახო საღამო

I

სიმფონიური ორკესტრის კონცერტი **ვ. ი. ზელიონის** ლოტბარობით.

II

კაბარე ჰუმორისტიული საღამო **„მხიარული ალავერდი“.** სხვათა შორის დადგმული იქნება: **კომპოზიტორების თავდასხმა ანუ კახეთის რკინის გზა; პოლიტეხნიკუმ-ხნიკუმ-ხნიკუმი,** დაუსრულებელი მელოდია **ნავთლუღსა და საბურთალოს** შორის. **მსახიობების ფაბრიკაცია,** ანუ ოთხი ათასიანი ხუმრობა. ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობის თხზულება. დასაწყისი საღამოს 9 საათზე, კაბარეს დასაწყისი ღამის 12 საათიდან. კლუბში შესასვლელს სტუმრები იხდიან: ქალები—50 კ., კაცები—1 მ. ვახშმის საჭმელად მაგიდების ადგილი კაბარეს დროს—50 კაპ. 1358

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ, მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

მხოლოდ ძმ. ესიკოვსკების ცირკს შეუძლიან იმის ჩვენება, რაც სხვებს არას დროს არ შეეძლებათ!

დღეს, 29 ივნისს, 1913 წ. გაიმართება ორი დიდი **სადღესასწაულო წარმოდგენა.** დღისით ბავშვებისათვის და მოწაფეებისათვის ფასები დაწეულია. დღეს წარმოდგენის დროს გაიმართება ბავშვების სეირნობა პონით. საღამოთი დიდებული დღესასწაული რომის გლადიატორებისა. დღეს მონაწილეობას იღებს გამოჩენილი, დამსახურებული მსახიობი, ტფილისელთა საყვარელი ბულგარელი ქალი **თამარა.** გამოჩენილი იტალიელი ოჯახი **ძმ. დელა-კაზა,** რომელნიც წოდებულნი არიან „კაც-ბურთებად“. განთქმული მუსიკოს ექსცენტრიკები **ბ.ბ. ბროკარს** უდიდესი კაცი—6 არშინი სიმაღლით: დჟიუტინ. ლამაზი ტურნისტი ლვოვი და ყველა გამოჩენილი და სახელ განთქმული მსახიობები.

დასაწყ. საღ. 8 ს.

დირექცია **ძმ. ესიკოვსკები.**

გამგე **ლ. მ. ზუნდაძე.**

388

წარმოდგენის შემდეგ გთხოვთ მობრძანდეთ ბაღში „პარადიზში“.

ოქროს მედალი რომის-
ის გამოფენაზე 1910 წ.

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

შპალიერის (ОБОИ) ქარხანა
ძმ. ტარნოპოლებისა.

განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.

მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის $11/_4$ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკო 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

ოქროს მედალი ეკატე-
რინოსლავისა 1910 წ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12 /2—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტაცი ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და ს. მშობ სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—1.
ბავშვთა სნეულბ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1¼. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ, პარას. და კვირას 11—12 **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე $1^1/_2$—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და **„914“ წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

ახალი კლუბი

მუდმივ ყოველ კვირეულ გასართობთა წეს რიგი:

სამშაბათობით და შაბათობით

დაუკრავს „ახალ კლუბის“ მიერ მოწყობილი

არტისტებისაგან შემდგარი

სიმფონიური ორკესტრი

ვ. ი. ზელიონის ლოტბარობით

სოლისტების მონაწილეობით: სკრიპკა—თავისუფალი ხელოვანი, კუსევიცკის ორკესტრის კონცერტ-მეისტერი **ბ. ი. კრეინინი,** ვიოლონჩელისტი—**ე. ნ. კოპელნიცკი** და გრაფ შერემეტიევის ორკესტრის არფა-არფისტი **ი. ა. პოლომარენკო.**

სამშაბათობით იქნება **სიმფონიური კრებული.** | და **შაბათობით** **ჩვეულებრივი კონცერტი.**

ორშაბათობით და **ოთხშაბათობით** საზაფხულო თეატრში გაიმართება

კინემატოგრაფის სეანსები და სიმფონიურ ორკესტრის სამუსიკო განყოფილება.

მცირე ორკესტრი ბაღში დაუკრავს 11 საათიდან ღამის 2 საათამდე.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ:

კინემატოგრაფის სეანსები და **სიმფონიურ ორკესტრის** **ორი განყოფილება** ღამის 12 საათამდე. 12 საათის შემდეგ კლუბის დაკეტვამდე **დაუკრავს საზანდარი.**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ.

საოჯახო საღამო-წარმოდგენები, ცეკვა და სამხედრო ორკესტრი.

კვირაობით. საბავშვო საღამოებს გაიმართება (საღამ. 5—9 საათამდე).

სიმფონიურ და ჩვეულებრივ ორკესტრების დროს მუსიკის დაკვრის დასაწყისი სწორედ საღამოს 8 ნახევარ ს., კინემატოგრაფის სეანსების დასაწყისი საღამოს 9 საათზე. 1225

ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფ. გუბ. თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების წევრთა

წლიური კრება

ნაცვლად 2 ივნისს 1913 წ. დანიშნულ კრებისა, შესდგება სათავად აზნაურო გიმნაზიის სადგომში **1 ივლისს, საღამოს 7 საათზე.**

განსახილველია: 1) საზოგადოების ანგარიში 1912 წლისა. 2) 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. 3) გამგე კომიტეტის მოხსენება საზოგადოების წესდების შესახებ. 4) მისივე მოხსენება საპენსიო წესდების შესახებ. 5) ქალთა სკოლის ინსტრუქცია. 6) პედაგოგიური და ადმინისტრატიული კითხვები. 7) ამორჩევა იმ წევრებისა, რომელნიც თავს ანებებენ თავიანთ თანამდებობას ვადის გასვლამდე, და ქალთა სკოლის სამზრუნველოს წევრებისა. 1190.

ბრძოლის ღიმილი

ი. გრიშაშვილისა.

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

ახალი სალიტერატურო—სამეცნიერო—კრებული

მ ვ ი რ მ ვ ი ნ ი

ფასი ერთი მანეთი

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული დ ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით პ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე. 1371

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ. ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

„ნ ა კ ა დ უ ლ“-ზე.

(**წელიწადი მეცხრე**).

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ო რ ი გ ა მ ო ც ე მ ა:

მცირე წლოვანთათვის	**მოზრდილთათვის**
24 წიგნი.	**12 წიგნი.**

ეღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **ს ა ჩ უ ქ რ ა დ ამერიკელ მწერალ ქალის პარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან ✦ „ბიძია თომას ქოხი“, ✦** სრულ თარგმანს. წიგნში იქნება ას-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ.** ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში**—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

1140 რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ-დ პავლე თუმანიშვილი.**

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა დ კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — $5^1/_2$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სათოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი **ბილისა ნინო რუხ.ლაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახ მაქარაშვილისა.

ექიმი **კ ბ ი ლ ი ს ა. გ. ხოლოდაშვილი** იღებს ავადმყოფებს **აბასთუმანში.**

ექიმი **ივ. გომართელი** პირველი ივნისიდან პირველ ენკენისთვემდე ავადმყოფებს მიიღებს **ბორჯომში.** აგარაკი მირზოევისა. 307.

ექიმი **შ. ა. მ ი ქ ე ლ ა ძ ე.** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი **ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 324

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ვაგზლის კერძო

სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგანავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$1^1/_2$ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$1^1/_2$ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$1^1/_2$ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით 1035

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

არღუთინსკი, ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—$11^1/_2$ ს.

ა. ხუდაბაშევი. ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 2—3 ს.

ბოჟოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

გ. ნ. გეიბაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ბალდთევი. კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

კალმახელიძე. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ლიმონი. კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.

ხაიდანოვი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ტ. ი. რუდენკო. შინაგან სნეულ. კონსულტატი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

ა. ბ ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა; $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

სუროვცოვი. შინაგანი ბავშვ. 3—4 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. **სემიონოვის ქ.,** № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 159

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ გუშინ დილის ათს საათზე გარდაიცვალა გენერალი თავადი **ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძე.**

◆ **სეირნობა** დღეს და ხვალ სახალხო გასართობთა საზოგადოება აზგარცების ცირკის სადგომში (მიხეილის ქ., 131) დიდს სეირნობას გამართავს. სეირნობაზე შესვლა უფასოა.

◆ **კედლის ჩამონგრევა.** გუშინ გათენებისა მტკვრის მარცხენა მხარეს კუკიის ხიდის ზომოდ ქვის კედელი ჩაინგრა სიგანით 4-5 საჟენი. კედელმა მტკვარში თან ჩაიტანა ტროტუარი და ქუჩის ერთი ნაწილი.

◆ **ცეცხლი** გუშინ გათენებისას პეტრე დიდის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა ავან იუზბაში ხან-საგანსკის სახლს (№ 6) ზარალი 15,000 მანეთამდეა. სახლი 50,000 მან. არის დაზღვეული.

◆ **განსვენებულ ექიმისა და საზოგადო მოღვაწის ს. ვ. გძელიშვილის სულის მოსახსენებლად** გუშინ, ნაშუადღევის 1 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში განსვენებულის ნათესავთა, ნაცნობთა და პატივის მცემელთა თანდასწრებით პანაშვიდი იქმნა ვადახდილი.

განსვენებულის ცხედარს დაკრძალავენ კვირას, 30 ივნისს, ავლაბრის წმ. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. ცხედარს გამოასვენებენ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან წირვის გადახდის შემდეგ.

◆ **ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის სასარგებლოდ** დღეს და ხვალ მუშტაიდის ბაღში დიდი სახალხო სეირნობა გაიმართება. ბაღში შესვლა უფასოა.

◆ ამ მოკლე ხანში ქ. დონის როსტოვში ჩვენს სახელოვან **მსახიობი ვლ. მესხიშვილს** იქაურმა ქართველობამ, როგორც გადასახლებულებმა, აგრეთვე ადგილობრივად მცხოვრებლებმა ვადაუხადეს იუბილე 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად. წაუკითხეს ადრესი, უთხრეს ცხოველი სიტყვები და შეძლებისადაგვარად მიუძღვნეს საჩუქარი.

◆ **გოლოვინის პროსპექტზე მომხდარ უბედურების გამო** საგუბერნიო სამმართველოს სატეხნიკო კომისიამ დაწვრილებით დაათვალიერა შიოევისეული სახლი. როგორც გავიგეთ, კომისიას შეუძლებლად უცვნია მესამე სართულის დადგმა, რადგანაც კედელი მკვიდრი არ არისო. ქალაქის თვით-მმართველობისა და „კრუჟოკ"-ის მიერ შედგენილმა კომისიამ კი, როგორც ვწერდით, აღიარა, მესამე სართულს კედელი დაიჭერსო.

◆ **საბირჟო ცნობები.** 28 ივნისს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ - 85 მ. 50 კ., აძლევენ — 84 მან., 10 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ — 83 მან. 25 კ., აძლევენ — 82 მ. 90 კ., და ქუთაისის სათავ.-აზნაურო საადგილმამულ. ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ — 80 მ. 50 კ., აძლევენ — 79 მან., 50 კაპ.

საზოგადოებანი და კრებები

◆ მოვაგონებთ მკითხველებს, რომ ხვალ, კვირას, თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში (ველინსკის ქ. № 2) დილის 10 საათზე დანიშნულია **„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების" წევრთა წლიური კრება.** განსახილველია, სხვათა შორის, ორი მთავარი საკითხი: 1) ამავე საზოგადოებისა და წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმ-ბიბლიოთეკათა შეერთების შესახებ და 2) ვაკის, თუმანიშვილისეულის, მამულის (1 დესეტინა) გაყიდვისა.—ამავე კრებაზე წაკითხულ იქნება წლიური ანგარიშები 1911 და 1912 წლისა, ე. თაყაიშვილის მოხსენება თიანეთის ნაშთების შესახებ და ბოლოს მოხდება საბჭოს წევრთა და სარევიზიო კომისიის არჩევა. კრებაზე გარეშეთაც შეუძლიანთ დასწრება.

◆ **მომხმარებელ საზოგადოების „მომავალის"** წევრთა არა ჩვეულებრივი კრება 30 ივნისისათვის დაინიშნა, დილის 11 საათზე, ნაძალადევის თეატრში.

დეპეშა

(შემთხვევით)

აბასთუმანი. გარდაიცვალა კომპოზიტორი ქილაშვილი.

ტფილ. გუბერ. თავ.-აზნ. საგანგებო კრება

კრება გახსნა საღამოს 9 საათზე გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა **თავ. კ. აფხაზმა.** კრებას დაესწრნენ ქუთაისის გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობაზე არჩეული **თავ. დ. ო. ნიჟარაძე** და უკვე განკურნებული **ი. ი. წინამძღვრიშვილი.** კრებას მოხსენდა წარსული კრების ოქმები, რომელიც დამტკიცდა ზოგიერთი შესწორებით.

გ. ყიფიანი. აცხადებს რომ იგი უარს ამბობს თავის ხვედრ ფულზე, რომელსაც მოელიან დროებით ვალდებულ გლეხთათვის მიწების შესყიდვისაგან და სთხოვს საკრებულოს მისი ხვედრი ფული ერთიან გადასდონ საყოველთაო სასარგებლო ფონდისათვის. ამ განცხადებას კრება მხურვალე ტაშით მიეგება.

ექიმი **გაბაშვილი.** როგორ უნდა მოიქცნენ ისინი, ვინც გუშინდელ კრებას არ დასწრებიან. შეძლება მოგვეცით ჩვენც შევუერთოთ ჩვენი ხმა.

თავმჯდომარე. ხელი უნდა მოაწერონ ოქმებს.

კრება შეუდგა საკითხს, თუ როგორ სცენ პატივი განსვენებულის მოღვაწის **დ. ი. ყიფიანის** ხსოვნას.

მოხსენება წაიკითხა თავ. **ნ. ა. თუმანიშვილმა.** დეპუტატთა საკრებულოს აზრად ჰქონდა გამოესყიდნა 4 ნაჭერი მიწა და მისი კარმიდამო. ამისათვის საჭირო იყო 31 ათასი მანეთი. რასაკვირველია, თავად-აზნაურობის კასისათვის ეს საძნელო იქნებოდა. ამიტომ საკითხის განხილვა გორის მაზრის წინამძღოლს გადაეცა და შემდეგ სპეციალურ კომისიას. ამ კომისიამ გამოარკვია, რომ შეიძლება მხოლოდ კარმიდამოს გამოსყიდვა, რასაც 20 ათასი მანეთი დასჭირდება.

თავ. კ. აფხაზი. ეს საკითხი წამოყენებული იყო თავად-აზნაურთა ერთი ჯგუფისაგან. მათ წინადადება შემოიტანეს, რომ კარმიდამო გამოგვეყიდა რომელიც, 5 დესეტინაა; სამაგიეროდ განსვენებულის შვილს უნდა ეძლეოდეს ყოველ წლივ 1200 მანეთი და კარმიდამოც მემკვიდრეების განკარგულებაში დარჩება, სანამ ცოცხალნი არიან.

ამ საკითხის გარშემო განსვენებულის პატივის სრულიად შეუფერებელი პირობები შეიქმნა. სხვათა შორის განსვენებულის შვილის შვილმა განცხადება შემოიტანა, რომ ეს საკითხი მოხსნილ იყო, რადგანაც მემკვიდრეებს შორის ჯერ სამედიატორო სამართალი ხდება.

ა. ყანჩელი. იმ აზრისაა, რომ მოხსენება უნდა მოიხსნას, მხოლოდ საკითხი განსახილველად ისევ უნდა დარჩეს.

თავ. ნ. თუმანიშვილი. ჩვენ არ გვინდოდა ამ მამულის დაკარგვა, რადგან მემკვიდრენი შეიწროებულ მდგომარეობაში არიან და შეიძლება მამული სხვის ხელში გადავიდეს.

თავ. **დ. ჩოლოყაშვილი.** ამ საკითხს თან ახლავს ზოგიერთი ისეთი უთანხმოება, რომელიც შეუძლებელია განსვენებულის ხსოვნის პატივისცემის დროს დარჩეს. ამიტომ საჭიროა სხვა გზის გამოძებნა. მოხსენება მოიხსნას მხოლოდ **დ. ყიფიანის** ხსოვნის პატივსაცემლად ის 1200 მანეთი, რომელიც უნდა დაენიშნოს მემკვიდრეს, გადაეცეს ქართულ გიმნაზიას განსვენებულის სახელობაზე ორი სტიპენდიის ფონდისათვის.

ა. ყანჩელი. ამ საკითხს წმინდა პრაქტიკულის მხრით უნდა მივუდგეთ. თუ სამედიატორო სასამართლო სწარმოებს და საკითხი ისე არ გადასწყდა, როგორც კრებას ჰგონია, მაშინ თავად-აზნაურობა ძლიერ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება.

გ. მაჩაბელი. შეიძლება ეს საკითხი მოიხსნას, მხოლოდ საჭიროა სხვა გზის არჩევა დაუყოვნებლივ.

შ. მესხიშვილი განმარტებას იძლევა, როგორც ერთი მხარის ნინო ბეჟანის ასულის ყიფიანის წარმომადგენელი. სამედიატორო სასამართლო ფორმალური ხასიათისა არ იყო, რომ იმისი დადგენილება სავალდებულო ყოფილიყო იურიდიულად. ეს სასამართლო მორალურის ხასიათისა იყო. სასამართლო აქამდე ვერ შესდგა. და ფაქტიურად კარ მიდამო ახლაც ქ-ნ ყიფიანის მეუღლის განკარგულებაშია.

თავ. **ი. ბარათაშვილი.** ჩვენ შეგვიძლია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ ვის როგორა სურს პატივცემა. დეპუტატთა საკრებულოს მოხსენება უნდა იყოს საერთო სახელმძღვანელო პრინციპი. ამ მხრით მოხსენებაში ორატორი ვერავითარ პრინციპს ვერ ჰხედავს. ახლა კი წინადადებას იძლევიან, მოხსენება მოიხსნას და არ კი ამბობენ ამის საბუთებს. ჩვენ საქმე მემკვიდრეების უთანხმოებასთან კი არა მაქვს, არამედ დიდებულ ადამიანის ხსოვნასთან. ამიტომ საჭიროა ამ საკითხის გადაწყვეტა მამულის შესყიდვას დაუკავშირდეს. ორატორი წინადადებას იძლევა, ამორჩეულ იქნას კომისია, რომელიც დეპუტატთა საკრებულოსთან ერთად, და მოწვეულ პირთა: საზოგადო დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენელთა თანდასწრებით გასინჯავენ ამ მეტად რთულ საკითხს.

თავ. **კ. აფხაზი.** ჩვენ უპრინციპობას გვისაყვედურებენ, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ჩვენ გარკვეულად და კატეგორიულად მივუთითეთ მამულის გამოსყიდვაზე. სწორედ ეს დაუდეთ მოხსენებას საფუძვლად. რად ჰქვია ამას უპრინციპობა,—სწორედ ვერ გამიგია.

ვ. რცხილაძე. მართალია დეპუტატთა საკრებულოს დაევალა მამულის შესყიდვის საკითხის გარკვევა, მაგრამ, მე მგონია, ეს პროგრამის ნაწილის განხორციელება იქნება, მაშინ როდესაც ვრცელი გეგმა არა გვაქვს დამუშავებული, მისი ნაწილის განხორციელება ნაადრევი იქნება. მოხსენება სრული არ არის. ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრებამ ერთხმად გადასწყვიტა, რომ შეუძლებელია მემკვიდრეების ხელში დატოვება მამულისა, თუ მას თავად-აზნაურობა შეისყიდის და თუ იქ გახსნილი იქნება დაბალ ხარისხის სამეურნეო სკოლა მაინც.

თავ, **ნ. თუმანიშვილი.** ჩვენი წინადადებით, რასაკვირველია, შეუძლებელია მთელი გეგმის შესრულება. ჯერ მხოლოდ ამ ნაწილს მივაქციეთ ყურადღება, იმიტომ რომ მამული არ დაგვკარგოდა. ამიტომ ჩვენ წინადადებას გაძლევთ და გთხოვთ, ეს საქმე გაათავოთ, რადგან მისი გადადება—მამულის დაკარგვასა ნიშნავს.

თავ. **დ. გურამიშვილის** თქვენგნით წაკითხული იქნა წინა საზოგადო კრების დადგენილება. თავ. გურამიშვილი ამბობს, რომ ამ დადგენილებიდან, სრულიადაც არა სჩანს, რომ საგუბერნიო კრებას გამოეთქვას რაიმე გარკვეული სურვილი განსვენებულის ხსოვნის პატივისცემის შესახებ. საგუბერნიო კრებამ მხოლოდ გარკვეული სურვილი გამოსთქვა და ფირმის შესახებ არაფერი უთქვამს. ახლა თავ. თუმანიშვილის სიტყვებიდან დავინახე, რომ მან ბრწყინვალედ უარჰყო ის, რაც პირველად სთქვა, რადგანაც გულს სიღრმიდან ამოხდენილი სურვილი, რაღაც ანგარიშებზე დაამყარა. ასეთი დიდებული ადამიანის ხსოვნის პატივისცემის დასაბუთება ასე არ შეიძლება. ამიტომ მე თავ. ი. ბარათაშვილის წინადადება ვუერთდები, რომ საკითხი დაისვას ცალკე ფართოდ, მემკვიდრეთა მატერიალურ მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად. საჭიროა კომისია, რომელიც ყოველ მხრივ გამოარკვევს, საკითხს და ვრცელ მოხსენებას წარმოადგენს.

შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს თავ. მ. ჭავჭავაძემ, გ. ამირაჯიბმა, ვ. ვაჩნაძემ და სხ.

კრებამ დაადგინა: საკითხი მოიხსნას და არჩეულ იქნას კომისია.

კრება შეუდგა დეპუტატთა საკრებულოს მოხსენებას შესახებ იმისა, თუ, როგორ გაუმჯობესდეს თავად-აზნაურობის სახლის ექსპლოატაციის საქმე. სახლი აშენებული ყოფილა მე-19 საუკუნის მეორმოციან წლებში. კონსტრუქცია მისი დამაკმაყოფილებელი არ არის. ეს კონსტრუქცია შეიცავს არა საკმაო უტილიზაციას და მიწასთან შედარებით არა პროპორციონალურ შემოსავლიანობას.

მთელი ადგილის სივრცე 3,200 ოთხკუთხ საჟენს უდრის. შენობებს კი 1529 საჟენი, ე. ი. 48%, უკავია. აქედან შემოსავალი შემოაქვს 889 საჟენს. შემოსავალია სულ 73,000 მანეთი, ასე, რომ თითო საჟენზე შემოდის 22 მან. და 94 კაპ. ამ დროს კი მომიჯნე მამულებში გაცილებით მეტი შემოსავალია. თავად-აზნაურობის ადგილების გვერდზე მდებარე სხვის მამულებში: პირველში 350 საჟენია, აქედან შენობებს უკავია 250 საჟენი ე. ი. 7?%, მეორეში 69% და მესამეში 75%. იმათი უტილიზაცია $1^1/_2$ ჯერ მეტია. პირველ მამულში საჟენს შემოაქვს 83 მანეთი, მეორეში 71 მანეთი და მესამეში 99 მ, ეს ცხრილი ნათლად აჩვენებს, რომ თავად-აზნაურობის მამულებით სარგებლობის საქმე ვერ არის კარგ დონეზე დაყენებული. საკრებულოს გამოანგარიშებით წინასწარ გამოკვლევისათვის საჭიროა 2000 მანეთი, რათა მოწვეულ იქნას სპეციალისტების კომისია და საკითხი ყოველ მხრივ იქნას გამორკვეული. მცირე კამათის შემდეგ კრებამ ეს მოხსენება მიიღო. მიიღო აგრეთვე მოხსენება თავ. კ. მუხრან-ბატონის მიერ ნაანდერძევ მამულის მალე განაღდებისათვის მოლაპარაკების გამართვის შესახებ.

კრებამ დაიხურა ღამის 11 საათის და 45 წუთზე.

ღლიური

ხალხი და ინტელიგენცია.

როდესაც ჩვენს დაავადებას ვამბობ, ჩვენს სილაჩრეს, უმოქმედობას, უძრაობას, უგულობას, სულიერ სიზანტეს, ნების უქონლობას, რომელიც უიმედობას აღძრავს, სასოებას წარკვეთს და დამბლასავით მოქმედობს გარეშე მაყურებელზედაც კი,—მე სახეში მყავს ჩვენი ინტელიგენცია, ჩვენი განათლებული საზოგადოება—ყვავილი დღევანდელი ცხოვრებისა.

მაგრამ არის ძალა ცხოველი, გაუტეხელი, მხნე, გამბედავი, ალჭურვილი ძლიერის ნებით, მუდამ მოუსვენარი, მაძიებელი უკეთესის არსებობისა, მტრისა მომგერებელი და მოყვრის მოყვრულად მიმღები,—ეს ძალა ჩვენი ხალხია, ჩვენი ერის გული, გამომჭედი ჩვენის მომავლისა, იმედიანი და იმედის მომგვრელი, ნაყოფი ჩვენი მრავალ-საუკუნიან კულტურულ ისტორიისა.

აუცილებლივ, უნებურად დაუპირდაპირებ ადამიანი ერთ-მეორეს ჩვენებურს ხალხსა და ინტელიგენციას. ერთი თუ სალი კლდეა, მეორე დაშლილი ქვაა, რომელსაც უბრალო ნიავიც კი დაარღვევს. ერთი თუ დილის მზის სხივია გამხარებელი, გამნათლებელი, სისხლის ამამოძრავებელი, მეორე მწუხრის ნაღველია, ღამის მაჩვენებელი, ძილის მომაახლოვებელი. ერთი თუ მთის მდინარეა მებრძოლი, შეუპოვარი, მოსწრაფებული, მეორე ტბაა, წყალი დამდგარი, ოდნავად შერხეული. ერთი თუ წელში მოხარა ცხოვრების სიმძიმეს, მეორე ღიმილით ეგებება ჭირსა და ვარამს, ერთი თუ აწმყოა ჩვენი შავდღიანი, მეორე წარსულია ჩვენი მომავალზე გადაბმული, გადაჭედილი. ერთი თუ იმედია, მეორე—უიმედობა, ერთი თუ ძალაა, მეორე—უძლურება, ერთი თუ აღდგენაა, მეორე დაცემა.

ჩვენი ინტელიგენცია შობა ჩვენმა მონობამ. მართალია, იგი ალჭურვილია ცნობით, ფაქტებით, ახალ ამბებით, იგი განათლებულია, მაგრამ ამ განათლებით დასერილია, დასნეულებულია, დასახიჩრებულია, მოკლებულია პიროვნებას, სახეს გარკვეულს, სულს მთლიანს. ჩვენი ახლანდელს, თავისუფლებას დაშორებულს, ცხოვრების სკოლა დაბლიდან უმაღლესამდე, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა, განათლება ისეა მოწყობილი, რომ თუ ერთი ხელით მოსწავლე თაობას აწვდის ცოდნას, უღვიძებს ცნობის-მოყვარეობას, უფართოვებს გონების ფარგალს, უღრმავებს სულიერს მოთხოვნილებას, მეორე ხელით ჰკლავს მის თავისუფალს შემოქმედებას, ახშობს ნებას, უნერგავს გადაგვარებას, ორად აპობს მის გულს.

ჩვენი ინტელიგენცია განათლებას იღებს გარეშე ეროვნულ წრისა, არა ეროვნულ სფეროში, მისი სწავლება ძალდატანებითია, მონური, დამპცირებელი, ამიტომ იგი მონურის სულიერობითაა გაჟღენთილი თავით ფეხამდე. ჩვენი ინტელიგენცია ტრიალებს ისეთ წრეში, სადაც ყოველი ეროვნული აზრი და გრძნობა დევნილია. ჩვენი ინტელიგენცია ცხოვრობს საზოგადოებაში, სადაც არაა ერთი არსებობა, ერთი საგანი და მისწრაფება. რამდენიმე არსებობა ჰქმნის რამდენსამე არსებობას ერთს არსებაში, რამდენიმე ცხოვრება ერთს სახეს რამდენსამე სახედ გარდაჰქმნის, ერთი ნება იქცევა რამდენსამე ნებად—ერთი-მეორესთან შეუთანხმებლად, მოურიგებლად. ეს წარმოშობს ბრძოლას, მუდმივ შეტაკებას, რყევას და ბოლოს არარაობას, ნების და ხასიათის ავადმყოფობას, რაიც შეადგენს ჩვენი ინტელიგენციის ნიშანდობლივ თვისებას.

ჩვენი ინტელიგენტი არაა ერთი ადამიანი, ერთი პიროვნება, იგი რამდენიმე ადამიანია ერთად, რამდენიმე პიროვნება, რომელთაგან ყოველი არაფერია.

სულ სხვა პირობებშია ჩაყენებული ჩვენი ხალხი. თუ ის ვერ ეწაფება ძალ-დამტანებელ განათლებას, მოკლებულია მის ასე თუ ისე კეთილს მხარეებს, მასთანავე თავისუფალია დღევანდელი ოფიციალური სკოლის გამრყვნელ, დამარღვეველ გავლენისაგან; იგი არ ცხოვრობს იმ საზოგადოებაში, რომელიც პიროვნებას აქარწყლებს, არ სუნთქავს იმ ჰაერს, რომელსაც საწამლავი ჩააქვს ფილტვებში. ხალხი არ გამხდარა ღირსი განათლებულის სახელწოდებისა, მას არა აქვს ცოდნა, მას არ მოუხვეჭია სიმდიდრე „მეცნიერებისა", მაგრამ მას დაუცავს მთლიანი, სალი ადამიანობა, იგი ახლოა ცხოვრებასთან, არ განყენებულა ინტელიგენტივით, არამედ ჩაქსოვია სინამდვილეს მთელის თავისი ცხოვრებით და მდიდარია იმ ალღოთი, რომელიც გამოცდილებით აძლიერებს მის სულს.

ამას გარდა არც მთლად მოწყვეტილია განათლებას, მაგრამ ეწაფება განათლებას თავისუფალს, განათლებას თვითმოქმედებაზე აგებულს, განათლებას საკუთარის შემოქმედებით მოპოვებულს უეჭველია, დღეს ხალხი ვერ იძენს სრულს განათლებას, ხოლო რასაც იძენს, ეს არაა გადამგვარებული, მისი სახის წამშლელი და პიროვნების დამაავადებელი. თეატრი, წიგნი, გაზეთი, თვითსწავლება, ცოცხალი მაგალითი და სიტყვიერი [illegible]თი—აი სკოლა ჩვენის ხალხისა და ყოველივე ეს, საბედნიეროდ, არ აა შებორკილი, შეზღუდული და დამხჩვალი. აქაა ჩვენი იმედი, აქაა დაცული ჩვენი ერი, აქ შენდება ტაძარი ჩვენი მომავალისა, ჩვენი თვითმოქმედების, თვითარსებობისა. აქაა ძალა, ძალა რეალური, უფრო მეტი პოტენციალური, რომელიც საოცარის ძლიერებით იფეთქებს თავის დროს..

სიტყვა.

ბალკანეთის ახალი ომი

ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირი, რომელმაც თვისი სამხედრო მძლეობით მთელი ქვეყანა გააკვირვა, ბამბის ძაფით ნაკერი გამოდგა. ძმური ერთსულოვნობის იდეა გადაგდებულმა ძვალმა—დაპყრობილი ადგილების გაყოფვამ—იმსხვერპლა. გუშინდელმა მოკავშირეებმა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში გაწვრთნილი ჯარი ერთმანეთს მიუსიეს და კვლავ გაჩაღდა საშინელი, დაუნდობელი ომი, უფრო სასტიკი და სისხლის მღვრელი, ვიდრე პირველი იყო. რა მოხდა, რამ გამოიწვია ასეთი საშინელი კატასტროფა? დამდურებული მეგობრები ბევრს რასმე საყურადღებოს აქვეყნებენ დღეს, რაც სხვა პირობებში უცნობი დარჩებოდა ჩვენთვის. მართალია, ჯერ-ჯერობით ძნელია იმის გამორკვევა, თუ ვინ მისცა საშიშ კოცონს პირველი ნაპერწკალი და მით სამუდამოდ დაასამარა ბალკანეთის კავშირის არსებობა, მაგრამ გამწვავებული ურთიერთობის ხანაში გამოქვეყნებული მიწერ-მოწერა კავშირისა საკმაო საბუთს იძლევა, რომ ძმათა შორის ატეხილი ომის ბრალი ბულგარეთს დაედოს. სანამ ოსმალეთის იმი ასტყდებოდა, მოკავშირეებს წინ და წინვე, სამხედრო კონვენციის მიხედვით გათვალისწინებული ჰქონდათ, თუ ვის რამდენი ჯარი უნდა გამოეყვანა საერთო მტრის წინააღმდეგ, ან სად და როგორ ემოქმედნა.

ამ კონვენციის ძალით ბულგარეთის მთავარ შტაბს 100.000 ჯარისკაცი უნდა მიეშველებინა სერბიისათვის, რომელსაც პირველ ხანებშივე სრულიად უნდა გაეწმინდა მტრისაგან ჩრდილო დასავლეთი მაკედონია და მით უში არეყო ბულგარეთის სატახტო ქალაქი ესად-ფაშის მუქარისაგან. მიუხედავად ამის, ბულგარეთის მთავარმა შტაბმა ომის დაწყებისათანავე შეუძლებლად სცნო დაპირების ასრულება და 100.000 კაცის მაგიერ მხოლოდ ერთი დივიზია მიაშველა მოკავშირეს, მაგრამ ეს რაზმიც, რომელიც სერბიის მეორე ჯართან მოქმედებდა, კოჩანის ბრძოლის შემდეგ მალე გამოეყო მას და იავერ-ფაშის მფრინავ რაზმს დაედევნა, რომელიც მდ. ერგენეს ხეობით ფილიპოპოლის ოლქში აპირებდა შეჭრას. რა კი მოკავშირის იმედი აღარ იყო, სერბიის მთავრობა იძულებული შეიქნა სამჯერ მეტი ჯარისკაცი მოეწვია თოფსქვეშ, ვიდრე განზრახული იყო სამხედრო კონვენციით. ეს კიდევ არაფერი. ჩვენ ვიცით, რომ სერბიის ჯარმა, თვისი მშვენიერი არტილერიის წყალობით. ყველაზე ადრე და ბრწყინვალედ აასრულა მოკავშირეთა შტაბების მიერ შემუშავებული სამხედრო გეგმის თვისი ნაწილი. მან ორი კვირის განმავლობაში სრულიად გასწმინდა მტრისაგან აგრეწოდებული ძველი სერბია და ჩრდილო დასავლეთი მაკედონია ალბანეთითურ, რომლის შემდეგაც ღენ. სტეპანოვიჩის რაზმი (ორი დივიზია) ბულგარეთს მიეშველა მძიმე არტილერიით ადრიანოპოლთან, ხოლო მემკვიდრე ალექსანდრეს პირველმა არმიამ მონასტირი აიღო, რომელიც საბერძნეთის ჯარის მოქმედების ფარგალში შედიოდა.

ყველა ამან, რასაკვირველია, დიდი ცვლილება მოახდინა, როგორც საკავშირო ხელშეკრულებაში, ისე თვით სამხედრო გეგმაშიც. ომის შედეგმა გაცილებით გადააჭარბა ხელშეკრულობის ვარაუდს და ამიტომაც აუცილებელი გახდა მისი გადასინჯვა. სერბიამ და აგრეთვე საბერძნეთმაც წინ და წინვე აცნობეს ბულგარეთს ეს გარემოება და სთხოვეს შესაფერი ღონისძიების მიღება შემდეგში გაუგებრობის თავიდან ასაცდენად, მაგრამ სოფიის მთავრობამ ყური მოითხოვა. მოულოდნელი გამარჯვებით მთვრალი ბულგარეთის პოლიტიკანები განუხორციელებელ ოცნებას მიეცნენ და მაგრად დასჭიმეს ბალკანეთის გეგმონიის სადავე. შოვინისტების გახურებულ ტვინის ბუნდოვნად წარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდგა დიდი ბულგარეთის სამეფო ძველი ბიზანტიის გვირგვინით შემკობილი. ჯერ ისევ ოსმალეთის ომის დროს ბულგარეთის მთავარმა შტაბმა ნელი-ნელ დააძალა თავისუფალი ჯარი იმ ადგილებს, რომლებიც მოკავშირეთა მიერ იყო დაპყრობილი. რა კი სერბია-საბერძნეთის მოთხოვნილებაში თვისი ეგოისტური მისწრაფების საფრთხე დაინახა, ბულგარეთი დაეჩქარა ოსმალეთთან ზავის ჩამოგდებას და ომის მიწურულში ისეთ პირობებს დასთანხმდა, რომლის გაგონებაც პირველ ხანებში ფიქრადაც არ მოსდიოდა. ახლა ნათლად გამოირკვა, თუ რატომ იდგა ბულგარეთის ძლევამოსილი ჯარი უმოქმედოთ ჩათალჯასთან მთელი ორი თვის განმავლობაში.

როდესაც ლონდონის პირველი საზავო მოლაპარაკება უშედეგოდ გათავდა და იანვრის მიწურულში ომი ისევ განახლდა, საბერძნეთის მთავარმა შტაბმა წინადადება მისცა ბულგარეთისას: ჯარსა და ფლოტს დაგეხმარ ჩათალჯისა და ბულაირის სიმაგრეთა ასაღებადო, მაგრამ რაკი ბულგარეთის პოლიტიკოსებმა იცოდნენ, რომ დახმარების მიღება ერთგვარ სამაგიერო მოვალეობის დაკისრებას მოასწავებდა მათთვის, ამიტომ თავი მოიკატუნეს, ხელზე დაიხვიეს ჯარის დაღალულობა და უარი სთქვეს დახმარების მიღებაზე. მთელი მათი ყურადღება ახლა ოსმალეთისკენ კი არა, მოკავშირეებისკენ იყო მიპყრობილი. შეიკრა თუ არა ოსმალეთისგან ზავი, ბულგარეთმა მთელი თავისი ჯარი სადავო ადგილებს მიაყენა და ამ წუთიდან დაიწყო განუწყვეტელი კინკლაობა საოკუპაციო რაზმების შორის. სერბიამ და საბერძნეთმა, რაკი მშვიდობიანად და ნებაყოფლობით ვერა გააწყვეს რა ყოფილ მოკავშირესთან, ცალკე შეთანხმება დასდვეს ბულგარეთის წინააღმდეგ, რათა საერთო ძალით დაეცვათ ის ადგილები, რომელნიც მათივე სისხლით იყო დაპყრობილი და რომელსაც ასე უსამართლოდ ედავებოდა მათ იმპერიალისტური ჟინით დაბრმავებული ბულგარეთი. გუშინდელ მეგობართა ჯარი პირისპირ იდგა და ელოდა საბედისწერო საკითხის გადაწყვეტას. ვერ გასჭრა ვერც ევროპის—განსაკუთრეიით კი საფრანგეთ—ინგლისის—გაფრთხილებამ და ვერც მათი მუდმივი მფარველის, რუსთა მეფის მუქარამ: ასტყდა ძმათა სისხლის მღვრელი, საშინელი ომი.

17 ივნისს, გათენებისას, ბულგარეთის ჯარი გადვიდა ნეიტრალურ წრეს, რომელიც საერთო თანხმობით იყო ამას წინად დადგენილი მოკავშირეთა შტაბების მიერ, და მთელს ფრონტზე იერიშით მივიდა სერბია—საბერძნეთის ჯარზე. უნდა ვსთქვათ, რომ პოლიტიკური მდგომარეობა ხელ-ფეხს უბორკავს მოწინააღმდეგეთა სტრატეგიას, რომელიც იძულებულია დიპლომატიის მოსაზრებას შეუფარდოს თვისი მოქმედება. ასე მაგ., ბულგარეთსა და სერბიას შორის რომ ჩვეულებრივ პირობებში მომხდარიყო შეიარაღებული შეტაკება, მაშინ საომარ ასპარეზად მდ. ტიმოკის ხეობა უნდა ყოფილიყო, სახელდობრ სერბია-ბულგარეთის ძველი საზღვრების მიდამო, რადგან აქედან ორივე სახელმწიფოს სატახტო ქალაქებამდე მეტად მცირე მანძილია და საომარი მოქმედებაც, რკინის გზების სიუხვის გამო, უფრო გაადვილებულია, მაგრამ სწორედ პოლიტიკურმა მდგომარეობამ, როგორცა ვსთქვი, შესცვალა გარემოება და საომარი ასპარეზი სამხრეთით, მდ. ვარდარისა და სტრუმის ხეობაში გადაიტანა.

ბულგარეთის მთავარ შტაბს მიზნად ჰქონდა ერთის მოულოდნელი დაკვრით გაენადგურებია სერბია-საბერძნეთის შეერთებული ჯარი და მთელი თვისი მძლეობით გამოსულიყო მდ. ვარდარის ჰალებზე, რათა ხელთ ეგდო უსკიუბ-სალონიკის რკინის გზა. ეს ხერხი რომ გამართლებულიყო, სერბიასა და საბერძნეთს მაშინვე იარაღი უნდა დაეყარათ და ზავი ეთხოვათ, რადგან უსკუიბ-სალონიკის რკინის გზა უმთავრესი ძარღვია მათი საოპერაციო ბაზისა. სერბიას მხოლოდ სალონიკით შეუძლია საომარი სურსათის მიღება, რადგან ხმელეთით ავსტრია უდგას საყელოში, ხოლო საბერძნეთისთვის სალონიკის დაკარგვა მაკედონიის მთელი სადავო ადგილების დაკარგვას მოასწავებდა, რადგანაც ეს ქალაქი მთავარი ბანაკი და ბაზაა საბერძნეთის ჯარისათვის. ამიტომაც სწორედ ამ მიდამოებში მოხდა ამ ერთი კვირის წინად უმთავრესი ბრძოლა მოკავშირეთა შორის. 17 ივნისიდან ოთხი დღის განმავლობაში განუწყვეტელი ბრძოლა იყო მდ. ბრეგალნიცის ნაპირებზე სერბიისა და ბულგარეთის მთავარ ჯარის შორის. ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა ორივე მხრით 300.000 ჯარისკაცი. ხელიდან ხელში გადადიოდა მდ. ბრეგალნიცის პატარა ხიდი, სანამ სერბიელებმა მოპირდაპირე მაღლობებზე არ დასდგეს თვისი მძიმე არტილერია. 21 ივნისს, ოთხი დღის განუწყვეტელ ბრძოლის შემდეგ, ბულგარელებმა ვეღარ გაუძლეს მემკვიდრე ალექსანდრეს ჯარის გაშმაგებულ იერიშს და უთავბოლოდ დაიხიეს უკან. სერბიელები გადავიდნენ მდინარის მეორე ნაპირს, აიღეს ქალაქი კოჩანა (სადაც ოსმალეთის ომში თავი ისახელა სერბია-ბულგარეთის შეერთებულმა დივიზიამ) და დაედევნენ გაქცეულ ბულგარელებს, რომელთაც დაჰკარგეს 10.000 მოკლულ-დაჭრილნი და 60 ზარბაზანი. რაკი ასე სასტიკად დაამარცხა ღენ. კოვაჩევის ჯარი (წინად მე 4, ახლა 1) მემკვიდრე ალექსანდრე სამხრეთისკენ, ქ. იშტიბისაკენ, გაეშურა, რათა ხელი მიეცა ქ. გევგელესთან მებრძოლ საბერძნეთის ჯარისათვის. გუშინ ტელეგრაფმა ცნობა მოიტანა, რომ სერბიელებმა უკვე აიღეს ქ. იშტიბი. მხოლოდ ერთმა რადკო დიმიტრიევმა (კირკილისეს და ლულებურგასის გმირი) მოახერხა თვისი უწინდელი სახელის დაცვა. ველესის ბრძოლაში, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა ორივე მხრით 50.000 კაცი, სრულიად გასწყდა სერბიის ტიმოკის დივიზია. ეს ერთად-ერთი გამარჯვება იყო ბულგარელებისა ხუთი დღის ბრძოლის განმავლობაში მთელს ფრონტზე, რომელიც 60 ვერსზეა გაჭიმული.

რაც შეეხება საბერძნეთის ჯარს, იგი სამ რაზმად დაიძრა ბულგარელების წინააღმდეგ. პირველი ქ. გევგელედან, მეორე სტრუმიცისა და დოირანს შუა, ხოლო მესამე ზღვის ნაპირით ქ. ნიგრიტასკენ. სასტიკი ბრძოლა მოხდა გევგელესთან, რომელიც ხუთ დღეს გაგრძელდა და ბულგარელების სრული დამარცხებით გათავდა. ბერძნების ჯარს წინამძღოლობდა თვით მეფე კონსტანტინე, ბულგარელებისას კი ადრიანოპოლის გმირი, ღენ. ივანოვი. მოხერხებული ალყით კონსტანტინემ მიაძინა ღენ. ივანოვის სიფხიზლე, ქურდულად გადაიყვანა მდ. ვარდარზე თვისი ჯარის ორი დივიზია და მოულოდნელად შეაკვეცა მარცხენა ფრთა. ბულგართა ჯარი უთავბოლოდ ივლტოდა. ბერძნებმა ხელთ იგდეს 80 ზარბაზანი და მთელი პოლკი ბულგარებისა, რის შემდეგ მეფე კონსტანტინეს ჯარმა დაიკავა ქ. დოირანი, ნიგრიტა და კუკუში, ასე რომ, სრულიად გაიკაფა გზა ვარდარის ჰალებისაკენ, რომელზედაც მიდის უსკიუბ-სალონიკის რკინის გზა.

ამრიგად ბულგარეთის სამხედრო გეგმა პირველ შეტაკებისათანავე სრულიად დაიფუშა. ყველგან დამარცხებული ჯარი უთავბოლოდ ილტვის, მტრისგან დევნილი. ბულგარეთის პოლიტიკოსებს დავთარი აებნათ, აღარ იციან, რა ჰქნან: ერთის მხრით სამარცხვინო დამარცხება, მეორეს მხრით კი რუმინიის მობილიზაცია და ომში ჩარევა; სტამბოლში კიდევ გაურკვეველი ფაცაფუცი სამხედრო პარტიისა და მედიდური მოთხოვნა: დაუყოვნებლივ გაიყვანე ჯარი მარმარილოს ზღვის სანაპიროებიდანო. ყველა ეს ვერ არის კარგის მომასწავებელი. ამიტომ ბულგარეთის მთავრობამ საჩქაროდ გადააყენა თანამდებობიდან სამშობლოს ბოროტი სული, ჯარის მთავარსარდალი ღენ. სავოვი და დანევმაც პეტერბურგს აფრინა დეპეშა: თანახმა ვართ თქვენი მფარველობისა, თუ მაკედონიის უდავო ადგილებს შეგვანარჩუნებთო.

მაგრამ დასრულდება კი ამით ბაბილონის გოდოლი?! **კოლხი.**

ბუნებისმეტყველთა და ექიმთა კრებაზე

(შემდეგი *)

ექიმთა და ბუნების მეტყველთა სხდომებზე არც ერთი მოხსენება არ წაკითხულა იმის შესახებ, თუ რა ღრმა კავშირი არსებობს ცოდნის სხვა და სხვა დარგის შორის. გამეფებული იყო ვიწრო პარტიული შეხედულება. ამიტომ ბუნების-მეტყველების მნიშვნელობაც არ იყო გონივრულად და სავსებით განათებული. ვინც ცოდნის სხვა დარგებს ვერ სცნობს, თავის საგანსაც რიგიანად ვერ გაამუქებს, რადგანაც არ ესმის, რა ადგილი უჭირავს ამ საგანს მეცნიერების საერთო ფარგალში.

ერთ პედაგოგს ვესაუბრე ამის შესახებ, და გულ-უბრყვილოდ მამიგო: როცა გავიმარჯვებთ და ბუნების-მეტყველებას სკოლაში ადგილს დაუმკვიდრებთ, შემდეგ თავის დათავად ამოჩნდება და გამოირკვევა ამისი კავშირი ცოდნის სხვა დარგებთანაო. უცნაური ვიწრო შეხედულებაა. გამოდის, რომ ამ წუთი-სოფელში იმარჯვებს მხოლოდ ფანატიზმი, ერთგვარი სიბრმავე: როცა ბრმა გაიმარჯვებს, შემდეგ თვალები აეხილებაო. მოდით და იწამეთ ამგვარი ფილოსოფია!

ძალიან მცირედ შეეხო კრება თანამედროვე საყურადღებო მიმართულებას აღზრდა-განათლების სფეროში—თავისუფალ სკოლას, თავისუფალი აღზრდა-განთლების პრინციპს: მსჯელობდნენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუმჯობესებულ იქნას თანამედროვე სახაზინო სკოლა და უყურადღებოდ დასტოვეს ის საკითხი, რომელიც აღზრდა-განათლების ასპარეზზე მოწინავე მოღვაწეთ ღრმად აფიქრებს და აღელვებს: აღზრდა-განათლების ძირითადი, რადიკალური რეფორმა—ისეთი სკოლის მოწყობა, სადაც აღმზრდელები და მოწაფეები ამხანაგურად იქნებიან ჩაბმულნი, სადაც საფუძვლად იქნება აღიარებული არა უფროს-უმცროსობა, როგორც დღეს არის, არამედ სრული თანასწორობა და მოწაფეთა მიერ სასწავლო საგნის თავისუფლად არჩევა.

არავინ შეჰხებია ამ ღრმა-მნიშვნელოვან საკითხს, არავის უთქვამს, რომ უკვე რამდენიმე ცდა, ბრწყინვალედ დაგვირგვინებული, რუსეთსა და ევროპაში, ამ ოცნებას სინამდვილედ აქცევს. არავის გაჰხსენებია, მაგალითად, შაცკისა, ზელენკოს და მათ თანამოაზრეთა თავისუფალი სკოლა მოსკოვში ღარიბ ბავშვებისათვის, სადაც ღრმა-მნიშვნელოვანი პრინციპი იყო დაცული—სწავლება მუშაობის, ხელსაქმის დროს, რადგან ბავშვი ბუნებით მუშა, მოსაქმეა. ეს მუშაობა-საქმიანობა აღზრდა-განათლების საფუძვლად უნდა დაიდოს. ამიტომაც შაცკისა და იმის ამხანაგების სკოლაში არა კარ-დახშული კლასები, არამედ სახელოსნოები იყო, სადაც ხელმძღვანელთა მეთაურობით ამხანაგური მუშაობა იყო გაჩაღებული და აღმზრდელ-მოწაფეთა შორის თავისუფალი ბაასი, აზრების გაზიარება იყო. ამ სკოლის დღიურები ხელთა გვაქვს; („Дѣти-работники будущаго" Москва, изданіе Посредника) ამას გარდა ერთი ჩემი ქალიქალი მეგობარი ეწვია ამ სკოლას, გაიცნო იქაური სწავლების მეთოდი და აღტაცებული დაბრუნდა ტფილისში.

დღეს ეს თავისუფალი სკოლა აღარ არსებობს დაიხურა „დამოუკიდებელ მიზეზთა გამო". მაგრამ ბრწყინვალე ცდა ამაოდ არ დარჩება. ახლო მომავალში, როცა ცხოვრების პირობები შეიცვლება, ისევ ფრთას შეისხამს და განახლდება.

როცა ვეკითხებოდი კრების წევრებს, რატომ არავინ ეხება ამ დიდად საყურადღებო თავისუფალ აღზრდა-განათლების პრინციპს-მეთქი, მორცხვად მიპასუხებდნენ: „დიდი უმრავლესობა წევრებისა სამსახურის კაცები, პედაგოგებია და ეშინიათ ამ სახიფათო საკითხის შეხებისაო".

მაგრამ მაინც თითო-ოროლა მოხსენებაში გამოკრთა აღზრდა-განათლების ახალი მიმართულების სხივი. ბ. მალიშევმა, რომელიც პეტერბურგის ერთ საუკეთესო სასწავლებელში იყო მასწავლებლად, ეგრედ წოდებულ ტენიშევის სკოლაში, საინტერესო მოხსენება წაიკითხა, სადაც ამტკიცებდა, რომ წინდაწინ არჩეული მეთოდი—გზა სწავლებისა—ყალბი მიმართულებააო. სკოლაში უნდა არსებობდეს არა განყენებული მეთოდი, არამედ ცოცხალი, მოსიყვარულე ადამიანი, რომელიც ბავშებს დაუახლოვდება და როცა მათ სულიერ ვითარებას გაეცნობა, მხოლოდ მაშინ გამოარკვევს, თუ სწავლების რა მეთოდს უნდა მიმართოსო. ბავშების ბუნებრივ სულიერ მისწრაფებას უნდა შეათანხმოს მასწავლებელმა სხვა და სხვა მეთოდი და არა მეთოდს ეს თავისუფალი მისწრაფება ანაცვალოსო.

ჩემთან პირადი საუბრის დროს მალიშევმა საყურადღებო ცნობები გადმომცა. ტენიშევის სკოლაში, პეტერბურგში, სადაც ის მასწავლებლად იყო, სრულებით აკრძალული არ ყოფილა მოწაფეთათვის თუთუნის წევა და ამავე დროს ბავშვები იქ თუთუნს არ სწევენო. რა არის ამის მიზეზი? რასაკვირველია, მასწავლებელთა კეთილი გავლენა, პირადი ზნეობრივი მაგალითი და არა ისეთი სასაცილო და უგუნური ქცევა, როცა პირში პაპიროს-ამოჩრილი დღევანდელი მასწავლებელი მოწაფეს სასტიკად უბძანებს: „არ გაბედო და არ ჩაიდვა პირში ის, რასაც ჩემ პირში ჰხედავო"! ამ უსულო, მეხანიკური განკარგულების შედეგი ის არის, რომ მოწაფეები მასწავლებელს არ უჯერებენ, გულში ანგარიშობენ: ალბად კარგი რამ ყოფილა ეს პაპიროსი, რომ მასწავლებელი პირიდან არ იშორებსო; ჩვენც კაცები ვართ და მოდი ჩვენც ფარულად ამ სიამეს დავეწაფოთო.

შაცკის და მისი „ამხანაგების" სკოლაში შემდეგი დიდად-საყურადღებო შემთხვევა მოხდა. სკოლას ეწვია ერთი გამოჩენილი ამერიკელი პედაგოგი. რაც იგი შაცკისთან საუბრობდა, ამ უკანასკნელს მიუახლოვდა ერთი თორმეტი წლის ბიჭი, რომელსაც პაპიროსი ეჭირა და სწევდა. შაცკიმ მიმართა პატარა ბიჭს და უთხრა: „სიმონ, ხომ ხედავ აქ ქაღალდებია გაფანტული, ადვილი შესაძლებელია ცეცხლი წაეკიდოს: აიმ ოთახში გადი და პაპიროსი იქ მოსწიეო".

ამერიკელ პედაგოგს დიდად ეუცხა ეს არა ჩვეულებრივი მოვლენა შაცკის მიმართა და კითხა: „ნუ თუ თქვენ სკოლაში ბავშვებს თუთუნის წევას არ უკრძალავთო".

„მშრალი აკრძალვით თავის დღეში ვერ მივაღწევთ საწადელს",—უპასუხა შაცკიმ: „როცა ბავში მუშაობაში ჩაებმება, მასწავლებლებს და მოწაფეებს გაეცნობა, იმათ კეთილ გავლენას განიცდის, თავისთავად დაეთხოვება ბევრ მავნე ჩვეულებასაო".

(დასასრული იქნება)

ი. ნაკაშიძე.

† ექიმი სვ. ილარ. ძე გძელიშვილი

კიდევ ერთი დანაკლისი!

ქართველ მოღვაწეთა მცირე გუნდს კიდევ მოსწყდა ერთი ჩუმი, გულწრფელი და სასარგებლო მუშაკი: 26 ივნისს ხან-მოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ტფილისში გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა და იშვიათის ენერგიით სავსე ექიმი სვიმონ (სიკო) ილარიონის ძე გძელიშვილი.

ტფ. სასულიერო სემინარიაში კურსის დამთავრების შემდეგ (1886 წელს) განსვენებული ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიაში მსახურებდა აღმზრდელად და დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული, როგორც მასწავლებელთა, ისე მოსწავლეთა შორის. აქედან განსვენებული გადავიდა მაშინდელ გაზეთ „ივერია"-ში, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. „ივერიის" რედაქციაში 1 წელს დაჰყო და შემდეგ, მიუხედავად საშინელ ნივთიერ ხელმოკლეობისა, მოახერხა დიდის გაჭირვებით რუსეთს წასვლა, სადაც ტომსკის უნივერსიტეტში სამედიკო ფაკულტეტი გაათავა. განსვენებულმა ცოლი იქვე შეირთო და ექიმობას მიჰყო ხელი ციმბირშივე, აკმალინის ოლქში.

განსვენებულს ციმბირში (სამაზრო ექიმად იყო) ნივთიერის მხრივ ბედი უმადურად არა სტოვებდა, მაგრამ მაინც არჩია იმ ქვეყნის მიტოვება, და ამ ერთის წლის წინად სამშობლოში დაბრუნდა და ტფილისში დასახლდა იმ იმედით, რომ თავის შრომით რამე სარგებლობას მოუტანდა თავის ხალხს.

ს. გძელიშვილი, როგორც ღრმად მოყვარული თავის ერისა, მაშინვე ჩაერია ქართულ საზოგადოებებსა და დაწესებულებებში და დიდის ხალისით და ენერგიით მუშაობდა. როგორც ექიმი, იგი დიდს დახმარებას უწევდა საწყალსა და ღარიბს ხალხს. ბოლო ხანს წერილებს ბეჭდავდა ტფილისის გაზეთებში. მის ერთ-ერთ განუხორციელებელ დიდ სურვილად დარჩა ქართველ ექიმთა საზოგადოების დაარსება.

განსვენებული სულ 49 წლის კაცი იყო, სრულად ჰქონდა შერჩენილი ქაბუკური ენერგია და ხალისი და ამიტომ ბევრის რამის გაკეთება შეეძლო, მაგრამ საშინელმა სენმა—წყალმანკმა—ადრე მოსწყვიტა მისი სასარგებლო სიცოცხლე.

საუკუნოდ იყოს შენი ხსენება, იშვიათო ადამიანო და მშვიდო მუშაკო!

მუშათა ცხოვრება

✦ საზღვაო მინისტრის ამხანაგის ბრძანებით ბალტიის გემთასაშენებელ ქარხანაში გამოკრულია ბრძანება, რომ მუშების თვითნებობით მუშაობის შეწყვეტის გამო ყველა მუშა დათხოვნილია სამსახურიდანაო. მუშებს წინადადება ეძლევათ, ჩააბარონ იარაღი 25 ივნისამდე და ანგარიში გაასწორონ 28 ივნისამდე.

სულიერად დამაინჯებულნი *)

ჩვენ არც ადგილი და არც დრო გვაძლევს ნებას, რომ დაწვრილებით დავახასიათოთ ინტერესი, ვიტყვით მხოლოდ, რომ ინტერესი რომელიმე საგნისადმი გამოჰხატავს მხოლოდ პასიურ ყურადღებას, როდესაც არა თუ ჩვენ, არამედ თვით საგანი ბატონობს ჩვენზე. საინტერესო საგანი, რითაც არ უნდა გამოიხატებოდეს ის, მოთხრობით თუ მათემატიკური ფორმულით, ძალაუნებურად იპყრობს ჩვენს ყურადღებას, ნაკლებ შრომას, სულიერი ენერგიის ხარჯვას მოითხოვს ჩვენგან და მით ხდება საინტერესო. სწორედ ამ პრინციპს ემსახურება თანამედროვე გაკვეთილების მიცემის სისტემა. გადახედეთ იმ კონსპექტებს, რომელსაც ყოველი სინიდისიერი მასწავლებელი არდგენს, რომ რაც შეიძლება უკეთესი გაკვეთილი მისცეს! იქ უკვე განსაზღვრულია ყოველივე კითხვა და მოსწავლეების პასუხი. ერთი კითხვა ისე ესაბამება მეორეს, რომ მოსწავლეს თითქმის დაფიქრებაც არ ეჭირვება, რომ შესაფერი პასუხი გასცეს. მთელი ტვირთი ამ შემთხვევაში აწევს მასწავლებელს, ის არის დედა-ბოძი კლასში, ის აზროვნებს, ის შრომობს ინტელექტუალურად და არა მოსწავლეები, რომლებიც ასეთი მეთოდის გამო ნამდვილ აზროვნებას გადაჩვეული არიან. პირველი შეხედვით ასეთი გაკვეთილიდან მეტადრე პედაგოგიურად მოუმზადებელ ადამიანს შეუძლებელია კარგი შთაბეჭდილება გამოიტანოს მაგრამ საკმაოა ცოტათი მაინც დაუკვირდეს მას, რომ სულ სხვა დასკვნამდე მივიდეს.

მართლაც, სად არის აქ ეგრედწოდებული აქტიური ყურადღების ვარჯიშობა, რომელიც, როგორც წინად ვნახეთ, საფუძველია ყოველი ნამდვილი ცოდნისა, რომელიც საჭიროველია დამოუკიდებელი ცხოვრებისა და შემოქმედებისა. რასაკვირველია, ამ კითხვას უარყოფით უნდა ვუპასუხოთ და აღვიაროთ ის სამარცხვინო ფაქტი, რომ ჩვენ ჩვენს მოსწავლეებს ასეთი ფუჭი მეთოდის გამო გონებრივად ვხრწნით და არა ვასაზრდოვებთ. ასეთი მიმართულების მომხრენი თავისი უვარგისი მეთოდის გამართლებას ეძებენ გერმანელ გამოჩენილ პედაგოგ-ფილოსოფოსის პედაგოგიურ სისტემაში და უმოწყალოდ ამახინჯებენ ამ ცნობილი მეცნიერის აზრს.

ჰერბარტის პედაგოგიურ სისტემის შუათანა ღერძს მართლაც რომ ის მოძღვრება შეადგენს, თუ რა არის ინტერესი. მაგრამ მას ინტერესი ესმის სულ სხვანაირად, ვიდრე ჩვენს პედაგოგებს. „ასწავლე ინტერესით, რომ ბავშვებმა უკეთ და ადვილად შეიძინონ ცოდნა", ამბობენ ჩვენი პედაგოგები: „ასწავლე ისე, რომ ახალმა ცოდნამ გააღვიძოს ბავშვის სულში ინტერესი და მისწრაფება შემდეგი ცოდნისადმი", გადაჭრით ამბობს ჰერბარტის ფორმულა. რასაკვირველია, ამ ორ დებულების შორის დიდი განსხვავებაა. პირველი დებულების მიზანია მხოლოდ ცოდნა და მეორისა კი—ინტერესი თავისთავად. პირველი ფორმულა გვაიძულებს ჩვენ ძალა-უნებურად ვიწვევდით ბავშვების მიმზიდველობას, მათ ყურადღებას, რომ ჩვენი გაკვეთილები იყოს მუდმივ სიტკბოებით გამსჭვალული, მეორე ე. ი. ჰერბარტის ფორმულა ამ მომენტს აქცევს უკანასკნელ ყურადღებას; ამ ფორმულის მიხედვით ზოგიერთ გაკვეთილს შეიძლება არც კი ჰქონდეს მიმზიდველი ხასიათი, მაგრამ მაინც ასრულებდეს თავის დანიშნულებას და მით უახლოვდებოდეს თავის უმთავრეს მიზანს: აღვიძებდეს ბავშვის სულში წყურვილს ცოდნისადმი და მსოფლ-მხედველობის გაფართოვებისადმი. ჰერბარტის ფორმულა გვაიძულებს, რომ მხოლოდ ცოდნის ფარდა ავხსნათ და არა იმას, რომ მოსწავლეებს ყოველფერი სრული დამზადებული სახით მივსცეთ. მოსწავლეები უნდა გავიტაცოთ არა უკვე შემქნელი და შემზადებული ცოდნით, არამედ შეძლებით, სურვილით, რომ უფრო მეტი და მეტი გაიგონ, ვიდრე წიგნებშია ნათქვამი. მასწავლებელი არ უნდა ჰკვებავდეს მოსწავლეს კარგად შემზადებული, ადვილად მოსახელებელი ცოდნით, არამედ უნდა აღვიძებდეს, მასში საშინელ მიმშილს ცოდნისადმი, რომ მოსწავლემ თვითონ დაიწყოს ძებნა საჭმელისა, ასეთი ინტელექტუალური შიმშილის დასაკმაყოფილებლად. ეს გაუმაძღარი ძიება უნდა შეადგენდეს ყოველი პედაგოგიური მოღვაწეობის შინაარსსა და უმთავრეს მიზანს. მხოლოდ ასეთი შრომა შეადგენს არა სამარცხვინო, უშინაარსო სუროგატს, არამედ ჭეშმარიტ სწავლებას. მხოლოდ ასეთი ინტერესი, რომელსაც მასწავლებელი უცქერის როგორც მიზანს და რომელიც გაღვიძებულია ბავშის სულში, იმოქმედებს, როგორც შინაგანი სულიერი სტიმული; მხოლოდ ასეთი ინტერესი გამოიწვევს მოსწავლეში უფრო მეტსა და მეტს სურვილს, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება მოსწავლეში, როგორც ცოდნა, აგრეთვე მუდმივი მისწრაფება ცოდნისადმი, მისწრაფება, რომელიც შეადგენს ადამიანის სულის თვისებას და რომელიც საფუძვლად უდევს ყოველივე პროგრესს. ასეთია ჰერბარტის აზრი ინტერესის, რომელიც დამახინჯებულად გადმოიტანეს ჩვენმა პედაგოგებმა.

ჩვენებური მეთოდი სულიერად აზარმაცებს ჩვენს მოსწავლეებს და უჩლუნგებს ბავშობიდან ყოველივე უნარს თავისუფალი აზროვნებისას. ამ მხრით ჩვენ დიდად არ დავშორებულვართ სწავლის პირველყოფილ მეთოდს.

გონებრივ ფუფუნებას, რომელიც კლასში ვითარდება, ხელს უწყობს კიდევ სხვა პირობებიც: წიგნების ბაზარი გავსებულია მრავალგვარი კონსპექტებით, „თემნიკებით" და „подстрочник"-ებით. ანგარებით გატაცებული პედაგოგები ასეთი სახელმძღვანელოების შესადგენად არაფერს არ ზოგავენ და რომ კითხოთ, მოსწავლეებს დახმარებას ვუწევთო. ასეთ დახმარებას, ასეთ ლიტერატურას, სხვას რომ თავი დავანებოთ, ის ზიანი მოაქვს, რომ მოსწავლეს კიდევ უფრო უადვილებს სწავლის საქმეს. ასეთი ლიტერატურის გამომას არ სჭირდება არც სახლში და არც სასწავლებელში დამოუკიდებელი მუშაობა. მას ყველაფერი გამზადებული აქვს, მხოლოდ გადაყლაპვა სჭირდება. გონებრივ ფუფუნებაშია, რომელიც ახშობს, სპობს აქტიურ ყურადღებას და ანვითარებს ინტელექტუალურ სიზარმაცეს. ჩვენს კურსდამთავრებულთა შორის, შეიძლება, ათასში ათს შეეძლოს მახვილი და გონიერი მსჯელობა, შეიძლება მხოლოდ მეტად მცირე ნაწილს ჰქონდეს უნარი დამოუკიდებელი შრომისა და ინდივიდუალური შემოქმედებისა. უმთავრესი ნაწილი კი გაურბის ინტელექტუალურ ცხოვრებას, კვლევაძიებას, როგორც მაჰმადიანი ღორის ხორცს.

ამ გულმოსაკლავ მოვლენას მუდამ ნახავთ თვით სკოლაში, განა ხშირად არ არის ისეთი მაგალითი, რომ მოსწავლე უკუაგდებს გაკვეთილს, თუ იგი პირველი წაკითხვისთანავე ვერ მიხვდა მის აზრს? რით აიხსნება ჩვენი სკოლის ცხოვრებაში უთვალავი რიცხვი „რეპეტიტორებისა" ანუ გაკვეთილების გამსწორებლისა? ვიცი ბევრი ამის მიზეზს იმაში დაინახავს, რომ მასწავლებლები ვერ უხსნიან შესაფერისად გაკვეთილებსო. ვინ იცის, შეიძლება ესეც ნაწილობრივად მართალი იყოს, მაგრამ ამასთან ერთად ამ სამწუხარო მოვლენას რომ ჩვენ მიერ აღნუსხული მიზეზიც უდევს სარჩულად, ესეც ცხადია. ჩვენი მოსწავლეები გადაეჩვივნენ დამოუკიდებლად შრომას, კერძოდ ისინი ვერაფერს აკეთებენ, თავისი ძალის მოხმარის უნარი არ აქვთ. რომელ რეპეტიტორს არ შეხვედრია მეცადინეობა ისეთ ნიჭიერ მოსწავლესთან, რომელიც პირდაპირ თხოულობდა მისგან ყველაფერს დამუშავებულად, დამზადებულად და რომელიც, სურვილი რომ ჰქონდა, ურეპეტიტოროთაც გამოასწორებდა თავის საქმეს. რით აიხსნება აუარებელი „подсказ"-ები ჩვენ სკოლაში, რომელიც საერთო სენად გადაქცეულა და რომელთანაც ბრძოლა შეუძლებელი ხდება?! მოსწავლე იმდენად შეჩვევია გონებრივ სიზარმაცეს, ამჯობინებს დაუფიქრებლად სხვისი, მაგრამ ფუჭი პასუხი, მოგცეს.

(შემდეგი იქნება)

ი. ლიბანელი.

---

*) იხ. „სახ. გაზ." № 930.

*) იხ. „სახ. გაზ." № 930.

◆ რ. კრუგის მექანიკურ ქარხანაში, პეტერბურგში, გაფიცვა, რომელმაც ერთი თვე გასტანა, გათავდა. მუშების მოთხოვნილება არ დაუკმაყოფილებიათ.

◆ გათავდა გაფიცვა პეტერბურგის ყუმბარების საკეთებელ ქარხანაში. მოთხოვნილების ნაწილი დაკმაყოფილებულია. ყველა მუშა უკანვე მიიღეს ექიმის შეუმოწმებლად.

◆ პეტროვსკის ნავთსადგურის გემების დამტვირთველ მუშების გაფიცვას ბოლო ელება. ქარხნების უმრავლესობამ მოუმატა მუშებს დღიურ ჯამაგირს 20—30 კ. რის შემდეგაც მუშები შეუდგნენ თავის საქმეს.

◆ პეტერბურგში გაიფიცა 400 კაცი გლუხოოზერსკის ცემენტის ქარხანაში.

◆ პეტერბურგში 21 ივნისს გაანთავისუფლეს 24 მუშა საფრანგეთ-რუსეთის ქარხნებისა, რომელნიც 18 მაისს დაატუსაღეს. 6 კაცი ციხეში გაუგზავნიათ.

◆ 21 ივნისს პეტერბურგში გაიფიცა პარვაინენის ქარხნის 600 მუშა. გაფიცვით მუშები პროტესტს აცხადებენ ბალტიის ზღვის მეზღვაურთა სამართალში მიცემისა და მუშათა პრესის დევნის წინააღმდეგ.

◆ 21 ივნისს პეტერბურგში ბალტიის ქარხნის მექანიკური და იარაღების განყოფილებათა მუშები შეიკრიბნენ და გამოიტანეს შემდეგი მოთხოვნილებანი: 1) უნდა მიიღონ უკანვე დათხოვნილი მუშები. 2) ჯამაგირი მუშაობის გათავების ერთი საათის წინ უნდა მიეცეთ და სხვ. ამის შემდეგ მუშები გაიფიცნენ 1000 კაცამდე. ქარხნის ადმინისტრაციამ ყველას ანგარიში გაუსწორა.

◆ რიგაში ელექტრონის საზოგადო ქარხანაში მუშაობა დაიწყო.

უცხოეთი

„შრომის საერთო კონფედერაციის“ წევრების დაპატიმრება.

პარიზის გაზეთები დიდ ადგილს უთმობენ „შრომის საერთო კონფედერაციის“ წევრთა დაპატიმრებას. ასეთი მოვლენა პარიზის გაზეთებისათვის მოულოდნელია, თუმცა ზოგიერთი მაგალითად, „ტან“-ი და სხვა რამდენიმე ნორმალურად სთვლის ამ მოვლენას. გაზ. „მატენ“-ი დატუსაღებას ასე ასწერს: ტულის გარნიზონის მოძრაობისა და ჯარის კაცების მიწერ-მოწერის გარჩევის შემდეგ მთავრობა დარწმუნდა, რომ ურჩობისა და ჯარიდან გაქცევის იდეა გარედან შემუშავებულ გეგმით შემოდიოდა ჯარში. იპოვეს ბევრი ცირკულიარი და მოწოდება, რომელშიაც ძლიერ გულახდილად ჰქადაგებდნენ ამ იდეას. ცირკულიარები და მოწოდებანი სინდიკატებს ეკუთნოდა და ეს სინდიკატები შრომის საერთო კონფედერაციაში შედიოდნენ. ამ საბუთებმა გამოიწვია, ის გარემოება, რომ პარიზის გამომძიებელმა დარიუმ დაუწყო ძებნა ამ საქმის მომწყობ „უცნობთ“. შემდეგ 86 ქალაქში გასჩხრიკეს მუშათა სინდიკატების სადგომები და შრომის ბირჟები. ჩხრეკის დროს აქაც იპოვეს ცირკულიარები და მოწოდებანი, რის შემდეგაც გამომძიებელმა გადასწყვიტა პარიზისა და პროვინციის სინდიკალისტების სამართალში მიცემა, ჯარის კაცთა შორის ურჩობის იდეის გავრცელებისა და აგულიანებისათვის. გაზეთები იტყობინებიან, გამომძიებელმა 40 კაცის დატუსაღებას მოაწერა ხელიო, იქედან 15 კაცი პარიზელია, დანარჩენი 25 კაცი პროვინციელი. მაგრამ დაჭერილია ჯერ მხოლოდ 13 კაცი პარიზში და 6 პროვინციაში. პარიზელ სინდიკალისტებს ბრალი ედებათ ანარქისტების ორგანოში სტატიების მოთავსებისა, რომელშიაც ჯარს აჯანყებისათვის მოიწოდებდნენ. დანარჩენთ ჰბრალდებათ დაჭერილ ცირკულიარებისა და მოწოდებათა შედგენა. სინდიკალისტები ამხანაგების დაჭერას საერთოდ გულგრილად შეხვდნენ. მათ გაზეთების თანამშრომლებს განუცხადეს, რომ ამხანაგების დატუსაღება ნაკლებად იმოქმედებს მათზე და იგინი კვლავ განაგრძობენ თავის მიმართულებას. „ეს უბრალო პოლიტიკური მანევრია,— განაცხადა ერთმა სინდიკალისტმა, რომელსაც მიზნად აქვს შერყეული უმრავლესობა პარლამენტისა განამტკიცოს, მაგრამ ორგანიზაციულად მოწყობილი მუშათა კლასი დაუღალავად განაგრძობს ბრძოლას, რომლის მიზანია, ახლანდელ მდგომარეობაში ხელი შეუშალოს სამხედრო ბეგრის 3 წლის ვადის განხორციელებას“. ჯერ-ჯერობით არავითარი საპროტესტო მიტინგი არ მომხდარა. განზრახულია გამართონ დიდი მანიფესტაცია 30 ივნისს და ამ დემონსტრაციის დროს გამოუცხადონ თანაგრძნობა და თანხმობა დატუსაღებულ ამხანაგებს და დასჯილ ჯარის-კაცთ. ჟორესმა პარლამენტის ბიუროში განაცხადა, რომ მას ჰსურს შეკითხვით მიჰმართოს მთავრობას სინდიკალისტების დატუსაღების გამო.

თეატრი და ხელოვნება

სოფ. დიღომი. კვირას, 30 ივნისს დიღმის სცენის მოყვარეთა მიერ, წარმოდგენილი იქნება არ. ცაგარლის კომედია „ციმბირელი“ დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზე. ბილეთების ფასი 40-20 კ-მდე.

ბალკანეთის მოკავშირეთა შეტაკება

(დეპეშ. პეტ. სააგენტოსაგან)

27 ივნისი

ვენა. ბუდაპეშტისა და ვენის გაზეთები აზვიადებენ ბულგარელების გამარჯვებას, მაგრამ ეხლა ეჭვს გარეშეა სერბიელების და ბერძნების გამარჯვება, რაც ძალიან აღონებს აქაურებს. „ცეიტი“ ჰსწერს: ბულგარელების დამარცხების შესახებ ცნობები ძალიან ცუდად მოქმედებენ. ჩვენ ოფიციალ წრეებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ სერბია მოისპობა და შექმნილი იქნება დიდი ბულგარეთი, რომ რუმინია მიიღებს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს სერბიისას და ბულგარეთს ამითი თავს დაანებებდა. შემდეგ ავსტრო-ჰუნგრეთი კავშირს შეჰკრავდა ბალკანეთის ორ დიდ სახელმწიფოსთან. ეხლა ეს ოცნება გაჰქრა“.

ათინა. დანამდვილებითი ცნობებია, რომ ბულგარელებმა დასტოვეს კავალუ და დედეაგაჩი. სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა: 1) გუშინ ბერძნებმა მიიტანეს იერიში სტრუმიცის გზის უღელტეხილზე. მტერს მაშველი ჯარი მოესწრო, შესაძლოა იშთიბიდან, და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ბერძნებმა დასძლიეს და ნაბიჯ-ნაბიჯით უკან დასწიეს მტერი. ბერძნებმა დაიჭირეს რამდენიმე უღელტეხილი. ომი შესწყდა დაღამების გამო და დღეს ისევ განახლდა 2) ბერძნები მამაცად მიდიან წინ და სდევნიან მტერს, გაქცეულს პეტრიჩისაკენ სტრუმიცის ხეობით. ერთმა ბერძნების რაზმმა ძლიერი იერიში მიიტანა იმ მთაზე, რომელზედაც გამაგრებული იყო ბულგარელთა არტილერია. ბულგარელები ტყვედ წამოიყვანეს ბერძნებმა. წაართვეს 5 ზარბაზანი დ ტყვიის მტყორცნელი 3) ბერძნები წინ მიდიან სტრუმიცისაკენ, მიუახლოვდენ მტრის ბანაკს 200 მეტრის სიახლოვეზე. გათენებისას თავს დაესხნენ ბულგარელებს და ძალა დაატანეს მტერს დაეტოვებინა თავის სიმაგრეები. ბერძნები გამოუდგნენ გაქცეულებს და წაართვეს იარაღი და სურსათი. ბერძნებმა წინ გაიწიეს და აიღეს კოსტრინა. დღეს მოვიდნენ პირეიში 1200 ახლად დატყვევებული ბულგარელები.

ბელგრადი პრეს-ბიურო იტყობინება: ბულგარელები უკუიქცნენ, მათ მისდევენ სერბიელები, რომელთაც ბულგარელებს სასიკვდილო დამარცხება მიაყენეს და ეხლა ისე მისდევენ, რომ სულის ამოთქმას არაცლიან. ოფიციალი ცნობებით, ბულგარელები, იშთიბიდან გაქცეულნი აპირებდნენ რაკოვიშთან გამაგრებას, მაგრამ სერბიელების მიახლოვების გამო გაიქცნენ და ქალაქი სერბიელებმა დაიჭირეს. ადგილობრივი მცხოვრებლები ალტაცებით მიეგებნენ გამარჯვებულთ.

ვენა ტისამ მიჰმართა ჰუნგრეთის წითელ ჯვარს თხოვნით გაჰგზავნოს სასანიტარო რაზმები სერბიაში და ბულგარიაში, რადგანაც აუარებელი რიცხვია იქ დაჭრილებისა. რაზმები ორ დღეში წავლენ.

სკოპლე. სერბიელებმა მისცეს ნება ბულგარეთის მიტროპოლიტებს წავიდნენ სამშობლოში.

ბელგრადი. ათიათასობით მოჰყავთ დაჭრილები. სანიტარული მდგომარეობა ძალიან ცუდია. ექიმებში საჭიროება ძალიან დიდია. ექიმები მოვიდნენ შვეიცარიიდან, მოელიან გერმანიიდან და ავსტრიიდან. დიდ იმედს ამყარებენ რუსების დახმარებაზე. ნეპრედნიაკების ორგანო „პრავდა“ სწერს: სამხედრო წარმატებანი გვიჩვენებენ ვისკენ არის სიმართლე. სერბიელებს ბულგარეთის მოსპობა კი-არა, ბალკანეთზე თანასწორობის დამყარება უნდათ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

27 ივნისი.

უცხოეთი

პარიზი. მუნიციპალიტეტის დარბაზში, მუნიციპალიტეტის საბჭოს თავმჯდომარე და წევრები მიესალმენ და გადასცეს ოქროს მედალი მფრინავს ბრენდეჟონ დე მულინს.

ვენა. უცნობ ბოროტ-გამზრახველთ უნდოდათ თავს დასცემოდნენ თოფის წამლის და სამხედრო იარაღების საწყობებს ფილიქსდორფში, ვენის ახლოს. დარაჯებმა სროლა ასტეხეს და სჩანს ერთი ბოროტ-გამზრახველი დაუჭრიათ, რომელიც ამხანაგებს უნდა წაეყვანათ.

პეკინი. რუსის ელჩის მოთხოვნით,— და თუ არ შეასრულებდნენ მოთხოვნას—მუქარით, მთავრობამ დააკმაყოფილა რუსეთი, იმის გამო რომ ციციკარში ჩინელებმა დაატყვევეს რუსები, გახსნეს რუსის ფოსტა ქალგანაში და რუსი ყასბები დაატუსაღეს. ციციკარის დუდუ გამოიძახეს, დანაშაულნი დაისჯებიან. რუსის ელჩის წინადადებით სამსახურიდ გადააყენეს კაშგარის [illegible] გი, რომლის ამ ინციდენტში მონ წილეობა დამტკიცებულია.

მადრიდი. სანსეც ალეგრო, რომელმაც მეფის მოკვლა განიზრახ სიკვდილით იქნება დასჯილი.

რუსეთი.

პეტერბურგი. 27 ივნისს გაიხს გუბერნიათა საერობო გამგეობ წარმომადგენელთა თათბირი. განს ხილვლილია საკითხი ცეცხლისაგან გადაზღვევისა. დაესწრო 35 ერობ წარმომადგენელი.

მაძიებარ პოლიციის წარმომად ნელთა კრებამ ის აზრი გამოსთქ რომ მაძიებარ პოლიციელთა კერ პირებისაგან დაჯილდოება შე ძლებელია.

კოსტრომა. ქალაქის გამგეო მიემხრო შუამდგომლობას, რო ჩრდილოეთის სამოსამართლო პალ ტა დაარსდეს იაროსლავში.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ შესაძლებლად სცნო, რომ 1913 წ. 10-დან 20 სექტემბრამდე მოეწყოს კიევში დიდი ქალაქების წარმომადგენელთა კრება. კრებამ უნდა განიხილოს ქალაქებთა ფინანსიური მდგომარეობის საკითხები იმ ფარგალში, რომელსაც სამინისტრომ 1912 წ. მისცა ნება. წარმომადგენლობის წესი შემდეგია: სატახტო ქალაქებისაგან სამ სამი წარმომადგენელი, საგუბერნიო ქალაქებიდან ორ-ორი, სამაზრო ქალაქებიდან თითო-თითო.

ასტრახანი. ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოგზავნილი ექიმ ფელდშეროვი უეცრად გარდაიცვალ სიკვდილის მიზეზი ირკვევა.

მინსკი. 26 ივნის, საღამოს პოლიციამ აღმოაჩინა ებრაელთა სინაგოგაში მუშათა მიტინგი, რომელსაც 400 კაცი დასწრებოდა. ბევრს გაქცევა უნდოდა და მეორე სართულიდან ფანჯრებიდან გადაცვივდნენ. 4 დაშავდა. დაჭერილია 74 კაცი.

რედაქტორ-გამომცემელი
ა ჟუმბაძე.

მასწავლებელი
ს. ა. გრიაზნოვი

ამზადებს გიმნაზიისა, კომერციულისა და სამიწისმზომელო სასწავლებლ., საოსტატო ინსტიტუტისა და აფთიაქის შეგირდად, განმეორებითი გამოცდისათვის. მსურველთ მიიღებს სრულ პანსიონზე.

ვერა, იზმაილოვის მიახვევი, ბელინსკის ქუჩიდან სახლი 6, ბინა 8. 325

გონორრეის (სუსუნატის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება:

„SALO—პიჩილინ“.

სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებით და **ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.** **აგრეთვე კარგად მოქმედებს მეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.**

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება საფთიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების სავაჭროში.

Метцль 27238. 1038

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 ძ. **ფომინა-თხიპთვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6ო. **მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. ა. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების [illegible] და სადაც-კი [illegible] უწესობას შენიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და [illegible] მოედანზე.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“ და „914“

11—12 ს. შეშხაპუნება

კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ავახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9 1/2 - 10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

კ. დ. გურგენიძე. 1 2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6 - 7 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

1004

იყიდება სახლი მე-9 უბანში, ბანკის ვალი აქვს 1000 მანეთამდე. შეიცავს 5 ოთახს, 75 ოთხკუთხი საჟენი. დასამატებელია 900 მან. პადგორნაია ქუჩა, № 11, რკინის გზის ლიანდაგის იქით. სამოვოლნი ქუჩის მახლობლად. პირობები შეიძლება გაიგოთ: კიროჩნი ქუჩაზე № 9 დალაქ მენთეშოვთან. 387

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

დრამატიული თხზულებანი:

სამეგრელოს მთავარი ლევან	40 კ.
ფიქრები, დრ. 5 მოქმედ.	50 ,,
კრისტინე, დრ. 5 მოქმ.	20 ,,
ღალატი, ნათარგმნი გ. ყიფშიძისა	50 ,,
,, ,, ნ. ავალიშვილისა	1—25 ,,
,, ,, კ. მესხისა	25 ,,
შვილი უდანაშაულოდ დასჯილისა დრ. 4 მოქმედებად	[illegible] ,,
წყურვილი, დრ. 3 მოქმ.	30 ,,
ჟან და მადლენა მირბო.	20 ,,
ექიმი აშირბაჟიანი, ტრ. რომ. ფ.	20 ,,
დასჯილნი, სამ მოქმ.	40 ,,
ცხოვრების ნაწყვეტი	15 ,,
მხანაგი, დრამ. 4 მოქმ.	25 ,,
ანტიგონე, სოფოკლესი	20 ,,
უმანკონი, დრ. 5 მოქმ. გ. ხეჩუაშვილისა	25 ,,
კუდიანი ვარსკვლავი, კომ. 1 მოქმ.	5 ,,
სოფლის გმირები, დრ. 4 მოქმ.	25 ,,
სამშობლოს ბურჯნი, 2 მოქმ.	10 ,,
მოულოდნელი შემთხვევა, ვოდ. 1 მოქ.	15 ,,
გამხმარი ფოთოლი, შიუკაშვილისა	20 ,,
მეორე კაენი, დრ. 3 მოქმ.	30 ,,

მიღებულია ახალი წიგნები:

გვირგვინი, კ. მიქელაძის სახსოვრად	1 მან.
მზის სიცილი, აბაშელის ლექსები.	50 ,,
საბავშვო თეატრი, ,,ჯეჯილის“ გამოც.	10 ,,
კიკოლიკას ნაამბობი, აკაკი	20 ,,
ბერუა კრისტესიაშვილი, ლომოურისა	10 ,,

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

პეტერბ. საპოლიტეხნიკო კურსები

ტეხნიკუმი (4 წელიწადია არსებობს)

პროფესორებისა და მასწავლებლების ამხანაგობისა.

დაარსებულია ტეხნოლოგ. ინსტიტ. პროფესორებისაგან: **გ. დეპისა, მ. ევანგულოვისა, ი. ხოლმოგოროვისა**, რიგის სამოსწავლო ოლქის ყოფილ მზრუნველის **დ. ლუშინისა** და ინჟინ.-ტეხნოლოგის **ნ. ფორაქოვისაგან**. მექანიკური, ელექტრო-ტეხნიკური, სამშენებლო და კომერციულ-ეკონომიური განყოფილებანი. კურსები კარგი სახელმძღვანელოებისა და მოწყობისათვის **საიმპერატორო ტეხნიკურ** საზოგადოებისაგან დაჯილდოებულია ვერცხლის დიდი მედლით. მსმენელებს შეძლება აქვთ უმაღლ. სასწავლებლ. სახელოსნოებში მუშაობისა. მიიღება ორივე სქესისანი. პროსპექტები გაიგზავნება 5 ორ-ორ კაპ. მარკის მოწოდებით. იქვე შეიძლება ცნობების მიღება **ელექტრომონტერების კურსების** შესახებ.

СПБ. РАЗЪѢЗЖАЯ УЛ. № 40.

Метцль 87072. 1344

Столовое
Вино
Юбилейное
300
Т/д. Бр. Сесіевы и Ко
Въ Тифлисъ

1078

მუდამ დღე მოგვდის

ახალ-ახალი

თევზის მრეწველნი

ძმ.

ძეგველოვები.

მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

ახალი მსხვილ-მარცვლოვანი

ხიზილალა |ქოტკა|

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, იანი, შიპა, ზურგიელები**, სხვა ყოველ-ნაირი **თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა** და **კონსერვები.**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„გ ა მ ც ე მ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

Бер-
линъ
საათის ნამდვილი ზომა

ოქროს საათი

სრულიად არ არის საჭირო. ოქროს საათის ნაცვლად, რომელიც 200 მანეთადა ღირს, გირჩევთ გამოიწეროთ პირდაპირ ბერლინიდან ფრანგული ოქროს საათი სისტემ. ,,**ხრონომეტრი**“, იგი ფორმით და სიმშვენიერით ოქროს საათს არ ჩამოუვარდება და ღირს მხოლოდ 4 მ. ეს საათები, ქალის თუ კაცის, ფრიად პრაქტიკულია, **2** სახურავიანი, მოვარაყებული ფრანგული სქელი ოქროთი 18 კარატ. იკეტება ელექტრონით. საათის მექანიზმ საუკეთესო ღირსებისა, ქვებით, მომართვა ,,რემონტუარი“ 40 საათში ერთ ხელ. გასწორებული წუთამდე, **პასუხს ვაგებთ რომ ათი წლის განმავლობაში სწორედ ივლის.** ფასი 4 მანეთი. 2 საათ —7 მ. 50 კ, 4 საათი—14 მ. 25 კაპ. ვინც ჩვენგან გაიწერს ამ საათს, ყოველთვის მადლიერი იქნება ჩვენი. ყოველ საათთან ერთად [illegible] ეგზავნება: 1. მამაკაცებისთვის ორგანიძ[illegible] ლების ყელზე ჩამოსაკიდი, ნამდვილი [illegible] ოქროსი; 2. შინა, ბინოკლი პარიზის სა[illegible] სანახაობით; 3. საათის ჩამშის ბუდე. გაგზავნის ხარჯი 50 კ., ციმბირში 75 კ. სამუშ გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და უპეოდ. ყველა ენაზე შეიძლება მოწერა შემდეგის მისამართით, რომელიც შეიძლება ან გადაწეროთ ან ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე (მარკა 50 კ.), ან ღია ბარათზე (მარკა 4 კ.).

მისამართი:
Berlin 33—I Stramfeld
Берлинъ Klosterstr. № 42

გაფრთხილება! სიყალბის ასაცილებლად ვაცხადებთ, რომ ჩვენი საათი—ნამდ. **ხრონომეტრი**“-ა ციფერბლატზე წარწერით: ,,ბერლინი **ხრონომეტრი**“ Метцль 25104 1173.

მიტროფანე ლაღიძის და ამხ.

ფრიად სასიამოვნო სასმელი და ჯანმრთელობისათვის მარგებელი საამური გემოსი და სურნელების ხილეული სამკურნალო და მინერალური

წყალი

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად განწმენდილ მასალებისაგან, გამოხდილ და ნადუღი წყალით

გამოცდილ სპეციალისტის ხელმძღვანელობით.

რადგანაც ჩვენი ქარხნის წყალის ნაცვლად ხშირად **დაბალ ღირსების წყალს** ა[illegible] პატივცემულ საზოგადოებას და აგრეთვე გავრცელებულია ჩვენი ეტიკეტის მიმსგავსებანი, უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, **ყურადღება მიაქციოს ბ[illegible]ზე ჩვენს ეტიკეტს ქარხნის ნიშნით და აგრეთვე თავსაცობს ზედ-წარ[illegible]**

,,М. ЛАГИДЗЕ“.

ქარხნები: ტფილისში, გოლოვ. პროსპ., № 6, ტელეფონი № 41
ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, № 5, ტელეფონი № 15

1214

ცინკოგრაფია

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ **კლიშეების დამზადება**

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდომ ფასა

ტფილისი, ბანკის დიდი ქუჩა № 12. ✻ Тифлисъ Бол. Ванк. ул.

1009

◆ გამოსულია და იყიდება ◆

ნ. შიუკაშვილის

პიესა ,,მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ტფილისი მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.